არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -
„ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია“ წესდება

სადამფუძნებლო დოკუმენტი
(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის)

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია“(შემგომში ტექსტში -საზოგადოება/ორგანიზაცია/ინპექცია) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
3. საზოგადოების სახელწოდება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-„ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია“.
4. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
იურიდიული მისამართი : ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12.
ელექტრონული ფოსტა: **potiinspeqcia@gmail.com.**
5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების ვალდებულებებისათვის.

მუხლი 2
ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები და ამოცანები

1. საზოგადოების (ინსპექციის) მიზანია ამ წესდებით, ასევე შესაბამისი აქტებით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროებში დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება, დარღვევათა თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება. ინსპექცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის იერსახის, რეკლამის, აბრის, გარე ვაჭრობის, ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანების, კომპეტენციის ფარგლებში სანიტარული კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას.

2. საზოგადოების (ინსპექციის) საქმიანობის ფუნქციები და ამოცანები:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების, გარე რეკლამის განთავსების, ტერიტორიებსა და შენობა-ნაგებოების (მიუხედავად საკუთრების ფორმისა) ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე კონტროლი;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, მანქანა-დანადგარების, დახლების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სარეკლამო ატრიბუტების უკანონო

განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამიჯნე ნიშნის მოშლის, დაზიანების ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლის ფაქტების გამოვლენა;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ავტოტრანსპორტის პარკირების დადგენილი წესების, სანიტარიული დასუფთავების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესრულებაზე კონტროლი;

ვ) კონტროლი და შესაბამისი რეაგირება ხეებისა და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განთავსებაზე, მათ მოჭრაზე, ამოძირკვასა და დაზიანებაზე;

ზ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა (გარდა 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა) და მოქმედი კანონმდებლობით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ოქმების, საჯარიმო ქვითრის, დადგენილების შედგენა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება; ზემოხსენებულ სამართალდარღვევებზე ოქმის, საჯარიმო ქვითრის, დადგენილების და სხვა დოკუმენტის გამოცემის უფლება ორგანიზაციას ენიჭება მერის ან საკრებულოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით", საქართველოს კანონით" საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით" გათვალისწინებული მითითებებისა და დადგენილებების გამოცემა და ღონისძიებების გატარება;

ი) გარემოსდაცვითი ღონიძიებების განხორციელების მიზნით კომპეტენტურ უწყებებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

კ)გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების, მიმართვების (წერილების) მიღება-განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება კომპეტენციის ფარგლებში;

ლ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის სრულყოფილი განხილვა-გადაწყვეტისათვის ურთიერთობის წარმოება მერიის სხვა სამსახურებთან, მერის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან;

მ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ნ) მის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის მერის სხვა დავალებების შესრულება.
ო) ყველა სხვა საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის.

2. საზოგადოება (ინსპექცია) უფლებამოსილია:
ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაუბრკოლებლად შევიდეს და განახორციელოს კონტროლი მის საზედამხედველო ობიექტში სამშენებლო და სხვა სახის ნორმების, წესების დაცვასა და შესრულებაზე, შემოწმების პროცესში მოითხოვოს ყველა საჭირო და აუცილებელი დოკუმენტაცია ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისაგან, საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს მითითება, განსაზღვროს დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებები და ვადები, დააწესოს კონტროლი მათ შესრულებაზე, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მითითების პირობების მის მიერ ან მესამე პირის მეშვეობით ან/და საკუთარი ხარჯით შესრულების თაობაზე;

გ) აწარმოოს კონტროლი თვითმმართველი ერთეულის იერსახის, რეკლამის, აბრის განთავსების, აკუსტიკური ხმაურის, პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების, პარკირების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვისა და გარე ვაჭრობის წესების დაცვაზე, ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანებაზე.

დ)დადგენილი წესით მიიღოს დადგენილება კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის ან უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ.

ე) დადგენილი წესით მიიღოს დადგენილება კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის შესახებ;

ვ) დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის, აგრეთვე სხვა პირის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები;

ზ) სამართალდარღვევის გამოვლენისას, კანონმდებლოვით დადგენილი წესით შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი/საჯარიმო ქვითარი;

თ) საჭიროების შემთხვევაში, სამართალდამრღვევი პირის ძებნის, გაჩერების, დადგენის (იდენტიფიცირების) ან სხვა მიზნით, დახმარებისათვის მიმართოს პოლიციას;

ი) საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, თუ საჭიროა სპეციალური ცოდნის მქონე პირის მონაწილეობა, მოიწვიოს შესაბამისი ორგანოს სპეციალისტების ან დამოუკიდებელ ექსპერტები და სპციალისტები;

კ) კანონდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი უფლებამოსილებების განხორციელებისას გამოიყენოს კავშირის სპეციალური საშუალებები: რაცია, ფოტო-ვიდეო აპარატურა, გაზომვებისა და სინჯების აღების მოწყობილობები, ასევე, სპეციაულური მაშუქი და ხმოვანი მოწყობილობები, დასალუქი საშუალებები, ისარგებლოს სპეციალური უნიფორმით და ლოგოთი;

ლ) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს გარიგებები, აგრეთვე, განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებთ, მათ შორის დაამყაროს ურთიერთობები სხვა ქვეყნების იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან;

მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დამხამრე სახის სამეწარმეო საქმიანობა, ამ საქმინაობიდან მიღებული შემოსავალი მოახმაროს მხოლოდ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, დასაქმებულთა სოციალურ დაცვას, შრომის ეკონომიკურ სტიმულირებას, აგრეთვე დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;

ნ) დაამყაროს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები მერთან შეთანხმებული საშტატო განრიგის შესაბამისად;

ო) შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირების თანამდებობრივი სარგო განსაზღვროს საკრებულოს მიერ განსაზღვრული ზედა ზღვრის ფარგლებში, მერთან შეთახმებით.

პ) განსაზღვროს დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა მერთან შეთანხმებით;

2. საზოგადოება (ინსპექცია) ვალდებულია:

ა) განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი ყველა სახის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე;

ბ) დადგენილი წესით, მოახდინოს სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების შემოწმება, მათი საქმიანობის შეჩერება, აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანი ან ნაწილობრივი დემონტაში;

გ) აწარმოოს კონტორლი გარე ვაჭრობაზე, ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვაზე, ქუჩებში, მაგისტრალებზე, მოედნებზე, პარკებში, სკვერებში, დასასვენებელ ზონებში, საერთო სარგებლობის ეზოებში მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე, მიწისქვეშა საინჟირნო ქსელების ჩაწყობა-გადაკეთებაზე, მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნაგვის სპეციალურად გამოყოფილ საყრელებზე გატანაზე. სამშენებლო

ტერიტორიების შემოღობვების მოწყობაზე, ქუჩის დროებით ან ნაწილობრივ გადაკვეთაზე, აღნიშული სამუშაოების დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადებში შესრულებაზე;
დ) აწარმოოს კონტორლი ხეებისა და მწვანე ნარგავების და დაზიანებაზე, მოჭრაზე, გადაბელვაზე და განადგურებაზე;
ე) ოპერატოულად მოახდინოს შესაბამისი რეაგირება შემოსულ ინფორმაციაზე;
ვ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება;
ზ) უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, დანაშაულის ნიშნების არსებობის გამოვლენის შემთხვევაში, საქმის მასალები, კანონმდებლობით დადგენილი წესით გადასცეს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი რეაგირებისათვის;
თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და სამართალდამრღვევთა მიმართ გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები;
ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;
კ) წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად;
ლ) წარმართონ შრომითი ურთიერთობანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
მ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები;
ნ) ინსპექცია არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 3
საზოგადოების დამფუძნებელი

საზოგადოების დამფუძნებელი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (საიდენტიკიფიკაციო კოდი 215138143, თვითმმართველი ერთეულების რეესტრში რეგისტრაციის თარიღი 04.12.2006 წელი, მისამართი საქართველო, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12. ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელია - ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით კვიციანი (პირადი ნომერი 42001002084, მისამართი: ქალაქი ფოთი, წმინდა ნინოს ქ.N3/16).

მუხლი 4
ორგანიზაციის საქმიანობა რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ორგანიზაციას მერის თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
ბ) სესხის აღება;
გ) სარგებლობის უფლებით მიღებული ქონების იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულებით გადაცემა;
დ) თავდებობა;
ე) ორგანიზაციაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით, სხვა გადაწყვეტილებების მიღება, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.
2. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება ორგანიზაციის ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს მუნიციპალიტეტის მერის თანხმობას.

მუხლი 5
ორგანიზაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1.ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ენიჭება დირექტორს, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის", საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მერი. მის მიმართ იღებს დისციპლინარულ და წამახალისებელ ზომებს.

2. დირექტორი:

ა) ორგანიზაციის საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად ამ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს ორგანიზაციის წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) პასუხს აგებს ორგანიზაციის საქმიანობაზე;

გ) მერთან შეთანხებით ამტკიცებს საშტატო ნუსხას, სახელფასო ფონდსა და მუშაკთა სახელფასო განაკვეთებს, მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

დ) დადგენილი წესით ხსნის საბანკო ანგარიშს საბანკო დაწესებულებებში;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;

ვ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" შესაბამისად ნიშნავს (დებს შრომით ხელშეკრულებებს) და ათავისუფლებს ორგანიზაციის თანამშრომლებს, მათ მიმართ იღებს დისციპლინარულ და წამახალისებელ ზომებს;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს ბრძანებას, ამტკიცებს ორგანიზაციის შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს, აკონტროლებს მათ შესრულებას; კანონის შესაბამისად ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას;

თ) გასცემს მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ი) წელიწადში ორჯერ (აგრეთვე მოთხოვნის საფუძველზე) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს;

კ) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ორგანიზაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

4. დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს ორგანიზაციის სახელით და წარმოადგინოს ორგანიზაცია მესამე პირთან ურთიერთობაში.

5. დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით.

6. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არა აქვთ უფლება, მუნიციპალიტეტის მერის თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა ორგანიზაცია, ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა ორგანიზაციაში, როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.

7. დირექტორს უფლება არა აქვს პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენოს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

8. ორგანიზაციის საქმიანობის:

ა) საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მერი;

ბ) კოორდინაციას მერი ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი დარგობრივი სამსახურის მეშვეობით.

9. ორგანიზაციის დირექტორის არყოფნის, მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას, აგრეთვე დირექტორის დავალების საფუძველზე დირექტორის მოვალეობას ასრულებს მოადგილე. თუ დირექტორს არ ჰყავს მოადგილე ან მოადგილის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობისას დირექტორის დავალებით მოვალეობას ასრულებს ორგანიზაციის ერთ-ერთი თანამშრომელი. თუ დირექტორიც და მოადგილეც მოკლებულია უფლებამოსილების განხორციელების

შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 6
ორგანიზაციის შემოსავლები (ფინანსური სახსრები)

1. ორგანიზაციის და ფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი (სუბსიდიის სახით მიღებული) მიზნობრივი თანხები;
ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.
2.ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 7
ორგანიზაციის ქონება

ორგანიზაციას უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება.

მუხლი 8
ორგანიზაციის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება

ორგანიზაცია ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დადგენილ ვადაში წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად მერს ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

მუხლი 9
ორგანიზაციის კონტროლი

1. ორგანიზაციის:
ა) საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;
ბ) კონტროლს ახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით;
გ) დირექტორი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს ქმედება.
3.მერი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ორგანიზაციის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 10
ორგანიზაციის რეორგანიზაციადა ლიკვიდაცია

1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება მერის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადანაწილდება საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი" 38-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11.
წესდებაში ცვლილებების შეტანა

წესდებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12
დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.
2. თუ ამ წესდების რომელიმე მუხლი ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა მუხლების ნამდვილობაზე.
3. ამ წესდების დამტკიცება, გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი **დავით კვიციანი**